საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 003812

04 ივლისი 2022 წ.

ქ. თბილისი

თვითმმართველი ქალაქი/მუნიციპალიტეტი

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის შრომითი უფლებების ხელმძღვანელობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ხელმძღვანელობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, თეონა [illegible] უფროსი სპეციალისტი (უფროსი შრომის ინსპექტორი) [redacted]

ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი

2. სამართალდამრღვევი: „აიპ „ნიუ ვიუენ საუნდვერსიტეტი ნოსპიტალი", ს/ნ: 402069854, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ღიღების ხაიონი, ლუბლიანას ქ. №13/მიხეილ ჯავახიშვილის ქ. №6, შენობაშენები ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ღიღების ხაიონი, ლუბლიანას ქ. №13/მიხეილ ჯავახიშვილის ქ. №6.

სახელი, გვარი, პირადი №, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით, იურიდიული პირის შემთხვევაში – დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით

3. მოწმე(ები)/დაზარალებულ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში):

სახელი, გვარი, მისამართი

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი:

2022 წლის 04 მაისს განხორციელდა „აიპ „ნიუ ვიუენ საუნდვერსიტეტი ნოსპიტალი" ს/ნ 402069854 მისამართი: ქ. თბილისი, ღიღების ხაიონი, ლუბლიანას ქ. №13/მიხეილ ჯავახიშვილის ქ. №6 შეორე განმეორებითი ინსპექტირება „შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 2022 წლის 25 მაისის №003516 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით გათვალისწინებული დარღვევების შესრულების შეფასების მიზნით. შეორე განმეორებითი ინსპექტირების შედეგებში დადგინდა, რომ კვლავ დარღვეულია საქართველოს თანამედროვე კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის"

24-ე მუხლის მ-11 პუნქტი

41-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

5. დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი

მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი

6. დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): 30(ოცდაათ) დღე

7. სახდელის სახე, ოდენობა: ჯარიმა, ერთი ათას ექვსასი (ლარი – ჯარიმის შემთხვევაში)

სიტყვიერად

8. დამრღვევის ახსნა-განმარტება:

9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმის შემდგენელი: [redacted] /

სახელი და გვარი ხელმოწერა

11. სამართალდამრღვევი: Z / Z /

სახელი და გვარი ხელმოწერა

12. მოწმე: Z / Z /

სახელი და გვარი ხელმოწერა

13. დაზარალებული: Z / Z /

სახელი და გვარი ხელმოწერა

14. დოკუმენტები, რომლებიც ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს: 2022 წლის 04 ივლისის №003812/ო მითითება.

Z

საქმის გადასაწყვეტად საჭირო ცნობები, მასალები და ა.შ.; დამრღვევის ახსნა-განმარტება ან მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები

15. შენიშვნა: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გაიგზავნოს საფოსტო წესით.

16. სამართალდამრღვევი პირის მიერ ხელმოწერაზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა: Z

დამკვეთი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „შრომის ინსპექციის სამსახური."

დამამზადებელი: შპს კაბადონი+

სემგს-ს რეგისტრაციის № 11-5748

შენიშვნა

ოქმის მეორე მხარეს აღინიშნება:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; კანონმდებლობით დადგენილი 10 დღის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) ოქმის შემდგენლის ზემდგომ თანამდებობის პირთან (მის.: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

გაფრთხილება!

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან (გაცნობიდან) 30 დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის **ან/და** საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება საურავის

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური

მ ი თ ი თ ე ბ ა № 003812/ო

შედგენის თარიღი: „ 04 **“ „** ივნისი **“ 2022 წ.**

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“ 75-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ,,შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შრომით ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის (შემდგომში - ,,შრომის ინსპექცია“) შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტების (უფროსი შრომის ინსპექტორები), [redacted] და [redacted] მიერ 2022 წლის 04 მაისს განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციის მეორე განმეორებითი ინსპექტირება:

ორგანიზაციის დასახელება: ააიპ „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 402069854
დირექტორი: მირზა ხინიკაძე
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბის რაიონი, ლუბლიანას ქუჩა N 13/ მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N 6
ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბის რაიონი, ლუბლიანას ქუჩა N 13/ მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N 6

ააიპ „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ მიმართ 2022 წლის 25 მარტს გაიცა № 003516 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და № 003516/ო მითითება, რომლის თანახმად კომპანიას განესაზღვრა 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა მითითების გამოსასწორებლად.

შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ, 2022 წლის 04 მაისს განხორციელდა აღნიშნული ორგანიზაციის რიგით მეორე განმეორებითი ინსპექტირება, რომელიც მიზნად ისახავდა

2022 წლის 25 მარტს გაცემული № 003516 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და № 003516/ო მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორების მდგომარეობის შესწავლას, რაც ითვალისწინებდა დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან გასაუბრებასა და დოკუმენტაციის ადგილზე გაცნობა/გამოთხოვას.

აღნიშნული ინფორმაციის მოკვლევის მიზნით, საზედამხედველო ორგანოს მიერ დამსაქმებელი ორგანიზაციიდან გამოთხოვილ იქნა შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტები: შრომითი ხელშეკრულებები, შინაგანაწესი, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა და ა.შ. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვა/შევსება/დაზუსტების მიზნით, დამსაქმებლის მიმართ საზედამხედველო ორგანოს ჰქონდა პერიოდული წერილობითი და სატელეფონო კომუნიკაციის სახე.

ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, გამოთხოვილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შესწავლისა და შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი, ინფორმაციის/დოკუმენტაციის შრომით ნორმებთან ანალიზისა და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად, გამოვლენილ დარღვევაზე გაიცა შემდეგი მითითებები:

№	გაცემული მითითება
1.	**დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი.** საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო. 2021 წლის 12 თებერვალს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-15/ნ ბრძანებით დამტკიცდა ,,სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა და მისი წარმოების წესი”. ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართით დადგენილი სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა უნდა მოიცავდეს არანაკლებ ამ წესით განსაზღვრულ მონაცემებს, თუმცა დამსაქმებელი უფლებამოსილია, მიუთითოს სხვა დამატებითი ინფორმაცია ან აღრიცხოს სამუშაო დრო ნებისმიერი სხვა ფორმით ამ წესით დადგენილი მინიმალური მონაცემების გათვალისწინებით. დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაო დროის აღრიცხვის დოკუმენტი არ შეესაბამება ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. თავად დამსაქმებლის წერილობითი

	განმარტებიდანაც ირკვევა, რომ ზოგადად ჰოსპიტალში შრომის საათების აღრიცხვა ხორციელდება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით, კოვიდმობილიზაციის ვითარების გამო, შეჩერებულია ბარათების გამოყენება. ისინი სამუშაო დროის აღრიცხვას აწარმოებენ განსხვავებული ფორმით. მათი განმარტებით, ყველა განყოფილებაში მორიგეობის გრაფიკი დგება განყოფილების ხელმძღვანელის მიერ, რომელიც შეთანხმებული და გაცნობილია თითოეული დასაქმებულისათვის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაო აღრიცხვის დოკუმენტები არ არის ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ და ,ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, ვერ დასტურდება დასაქმებულების მიერ აღნიშნული დოკუმენტების გაცნობის ფაქტი. შესაბამისად, დარღვეულია ზემოაღნიშნული ბრძანების მოთხოვნა, რომლის თანახმად სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა უნდა მოიცავდეს არანაკლებ ბრძანებით განსაზღვრულ მონაცემებს, თუმცა დამსაქმებელი უფლებამოსილია, მიუთითოს სხვა დამატებითი ინფორმაცია ან აღრიცხოს სამუშაო დრო ნებისმიერი სხვა ფორმით ამ წესით დადგენილი მინიმალური მონაცემების გათვალისწინებით. სამუშაო დროის რეგულირება შრომის სამართლით დაცული ერთ-ერთი ფუნდამენტური სტანდარტია, ვინაიდან იგი პირდაპირ კავშირშია დასაქმებულის ძირითადი უფლებების დაცვასთან იმდენად, რამდენადაც სამუშაო დროის სწორად აღრიცხვა და მისი სათანადო წესით გაცნობა დასაქმებულთათვის, უზრუნველყოფს ამ უკანასკნელთა დაცვას არანორმირებული სამუშაო გრაფიკისა და მათთვის პროპორციული დასვენების დროის მიცემის უგულებელყოფისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ორგანიზაციამ აწარმოოს დასაქმებულთა სამუშაო დროის აღრიცხვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული სამედიცინო დაწესებულების მეორე განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაო დროის აღმრიცხველი დოკუმენტები კვლავ არ შეესაბამება ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ასევე, დამსაქმებელმა შრომით ინსპექტორებთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ისინი ამ ეტაპზე სამუშაო დროს არ აღრიცხავენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-15/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართი N 2 -ით განსაზღვრული წესით.

	აღნიშნულიდან გამომდინარე, დამსაქმებელი ვალდებულია, რომ დასაქმებულთა სამუშაო დროის აღრიცხვა აწარმოოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ბრძანების შესაბამისად. *საფუძველი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის №01-15/ნ ბრძანება.*
2.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.** დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი ეპიდემიოლოგის შრომითი ხელშეკრულების შესწავლის შედეგად, რომ [redacted] ეპიდემიოლოგის პოზიციაზე მუშაობა დაიწყო 2020 წლის 10 აგვისტოს, აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებისათვის კოვიდ კლინიკის სტატუსის მინიჭების შემდეგ. აღნიშნულ ხელშეკრულებაში გათალისწინებულია მხოლოდ ძირითადი შრომის ანაზღაურება 1250 (დარიცხული ხელფასი) ლარის ოდენობით. თუმცა, მოცემული არ არის აღნიშნული თანხიდან რა ნაწილი შეადგენს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ დამატებით ანაზღაურებას საშუალო ხელფასის არანაკლებ 50 -ის ოდენობით. საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომით ხელშეკრულებაში შრომის ანაზღაურების განსაზღვრისას მიეთითება ხელფასი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში - დანამატი. მოცემული ხელშეკრულებით გამიჯნული არ არის ძირითადი შრომის ანაზღაურების (ხელფასის) და დამატებითი ანაზღაურების (დანამატის) ოდენობა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით ეპიდემიოლოგისათვის გათვალისიწნებული დამატებითი ანაზღაურება წარმოადგენს სახელმწიფოს მიზნობრივ დახმარებას კოვიდ მართვაში ჩართული სამედიცინო პერსონალისათვის, რომელიც მოქმედებს COVID 19-ის წინააღმდეგ მიმართულ პერიოდში, რომლის დასრულების შემდგომაც აღნიშნული ფინანსური დახმარებაც მოიხსნება. აქედან გამომდინარე, დასაქმებულისათვის თავიდანვე ცნობილი უნდა იყოს ძირითადი შრომის ანაზღაურების (ხელფასის) ოდენობა და ასევე მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული დროებითი დამატებითი ანაზღაურების ოდენობა, რადგან აღნიშნული დამატებითი ანაზღაურების გაუქმების შემთხვევაში, დასაქმებული ინფორმირებული იყოს, თუ რა ოდენობის ძირი ხელფასი შეუნარჩუნდება. ძირითადი ხელფასის ოდენობის დაკონკრეტება საჭიროა იმდენად, რამდენადაც ნათლად დადგინდეს რეალურად დამატებითი ანაზღაურება შეადგენს თუ არა შრომის ანაზღაურების არანაკლებ 50 პროცენტს. ამდენად, ზოგადად,

ბუნდოვანია როგორც დამატებითი ანაზღაურების გაცემის, ასევე დამატებითი ანაზღაურების ოდენობის საკითხი. შესაბამისი საგადახდო დავალებებით დასტურდება, რომ 2020 წლის 10 აგვისტოდან - 2021 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით [redacted] ერიცხებოდა მხოლოდ შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი შრომის ანაზღაურება (ხელფასი), ხოლო დამატებითი ანაზღაურება კი მას არ ერიცხებოდა. ხოლო 2021 წლის ნეომბრისა და დეკემბრის თვეში ეპიდემიოლოგის მიმართ გაიცა დამატებითი ანაზღაურება საშუალო ხელფასის მხოლოდ 35 პროცენტის ოდენობით **(ნაცვლად 50 პროცენტისა).**

დამსაქმებლის მიერ ლაბორატორიულ განყოფილებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების, მათი საგადახდო დავალებების შესწავლისა და დამსაქმებლის წერილობითი განმარტებიდან დგინდება, რომ ლაბორატორიულ განყოფილებაში დასაქმებულ სპეციალისტებზე 2020 წლის დეკემბერში გაიცა ნოემბრისა და დეკემბრის თვის დამატებითი ანაზღაურება შრომის ანაზღაურების 50 პროცენტის ოდენობით. კერძოდ, თითოეული თვეზე გაიცა დამატებითი ანაზღაურება საშუალო ხელფასის 25 პროცენტის ოდენობით. 2021 წლის იანვრიდან - 2020 წლის აგვისტომდე ლაბორატორიის თანამშრომლებს ეძლეოდათ დანამატი შრომის ანაზღაურების 50 პროცენტის ოდენობით ყოველ ორ თვეში ერთხელ, ხოლო 2021 წლის აგვისტოდან - 2021 წლის ნოემბრის თვის ჩათვლით ყოველთვიურად ეძლეოდათ დამატებითი ანაზღაურება შრომის ანაზღაურების **35 პროცენტის** ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომის ანაზღაურება მოიცავს როგორც ხელფასს, ასევე - დანამატს.

ამავე კოდექსის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას შრომის ანაზღაურების არანაკლებ თვეში ერთხელ გაცემის თაობაზე, **აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტი კი - ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისთვის დასაქმებულისათვის დაყოვნებული თანხის 0,07 პროცენტის გადახდას.**

ამასთან, ,,2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილების მე-20 დანართში 2020 წლის 29 ოქტომბრის №652 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების, ასევე „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილების მე-20 დანართის თანახმად, თითოეულ საწოლზე დღიურად

დარიცხული 100/120 ლარი მოიცავს სამედიცინო პერსონალის ხელფასებს, ასევე ეპიდემიოლოგისა და COVID-19-ის დიაგნოსტიკასთან დაკავშირებული ლაბორატორიული პერსონალის დამატებით ანაზღაურებას საშუალო ხელფასის არანაკლებ 50%-ის ოდენობით.

ამრიგად, დამსაქმებლის მიერ ეპიდემიოლოგთან და ლაბორატორიული განყოფილების პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებისა და შესაბამისი საგადახდო დავალებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ეპიდემიოლოგს და ლაბორატორიული განყოფილების პერსონალს არ ეძლევათ 2020 წლის „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილების მე-20 დანართში 2020 წლის 29 ოქტომბრის №652 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების, ასევე „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილების მე-20 დანართით გათვალისწინებული დამატებითი ანაზღაურება საშუალო ხელფასის არანაკლებ 50 პროცენტის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დამსაქმებელს, განაცდური პერიოდის განმავლობაში, ეკისრება დასაქმებული ეპიდემიოლოგისათვის კუთვნილი დამატებითი ანაზღაურების მიცემის ვალდებულება „საქართველოს შრომის კოდექსის" მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, დამსაქმებელი ვალდებულია ლაბორატორიული განყოფილების პერსონალს სრულად აუნაზღაუროს, განაცდურის პერიოდში შემავალ თითოეულ თვეზე არსებული შრომის ანაზღაურების 25 პროცენტიანი ოდენობის დანაკლისი, ხოლო 2021 წლის აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის თვეების შემთხვევაში კი აუნაზღაუროს **15 პროცენტიანი დანაკლისი** (ამ პერიოდში მათზე გაიცემოდა დამატებითი ანაზღაურება **35 პროცენტის ოდენობით)**.

აღნიშნული სამედიცინო დაწესებულების მეორე განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში დამსაქმებლის მხრიდან არ არის წარმოდგენილი ზემოაღნიშნული პირებისათვის, კერძოდ, COVID – 19-ის დიაგნოსტიკასთან დაკავშირებული ლაბორატორიის პერსონალისა და ეპიდემიოლოგისათვის, **განაცდური პერიოდის განმავლობაში** დამატებითი ანაზღაურებების ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მოთხოვნა:

1) ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამსაქმებელს **განაცდური პერიოდის განმავლობაში, კერძოდ, 2020 წლის ნოემბრიდან - 2021 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით პეიოდში** ეკისრება ეპიდემიოლოგისათვის კუთვნილი დამატებითი

ანაზღაურების სრულად მიცემის ვალდებულება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად, **კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურებისა თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისთვის დასაქმებულს გადაუხადოს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი.** ხოლო 2021 წლის ნოემბერსა და დეკემბრის თვეებთან დაკავშირებით კი დამსაქმებელი ვალდებულია ეპიდემიოლოგს აუნაზღაუროს თითოეულ თვესთან მიმართებით დამატებითი ანაზღაურების 15 პროცენტიანი დანაკლისი (ნოემბერსა და დეკემბერში ეპიდემიოლოგზე გაიცა დამატებითი ანაზღაურება მხოლოდ 35 პროცენტის ოდენობით).

2) დამსაქმებელი ვალდებულია ლაბორატორიული განყოფილების პერსონალს სრულად აუნაზღაუროს, **განაცდურის პერიოდში** შემავალ თითოეულ თვეზე, კერძოდ, 2020 წლის ნოემბერიდან - 2021 წლის ივლისის თვის ჩათვლით პერიოდზე, არსებული შრომის ანაზღაურების **25 პროცენტიანი** ოდენობის დანაკლისი (დამატებითი ანაზღაურება), ხოლო 2021 წლის აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის თვის შემთხვევაში კი აუნაზღაუროს **15 პროცენტიანი** დანაკლისი (ამ პერიოდში მათზე გაიცემა დამატებითი ანაზღაურება 35 პროცენტის ოდენობით). ლაბორატორიული განყოფილების პერსონალს კუთვნილი დამატებითი ანაზღაურება უნდა მიეცეს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ, **საქართველოს შრომის კოდექსის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურებისა თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისთვის დასაქმებულს გადაუხადოს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი.**

საფუძველი:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი;

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსის“ 41-ე მუხლის პირველი პუნქტი;

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილების მე-20 დანართში 2020 წლის 29 ოქტომბრის N 652 დადგენილებით შეტანილი ცვლილებება;

	„2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილების მე-20 დანართი.

<u>სახდელის სახე:</u>

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 77-ე მუხლის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ამ კანონით (გარდა ამ კანონის 47-ე–50-ე მუხლებისა) ან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით (გარდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19–24-ე, 53-ე, 72-ე–77-ე, 82-ე და 85-ე–119-ე მუხლებისა) გათვალისწინებული ნორმის დარღვევის შემთხვევაში თითოეული დარღვევა გამოიწვევს **გაფრთხილებას** ან **დაჯარიმებას** დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული დამსაქმებლის (გარდა ფიზიკური პირისა) შემთხვევაში, რომლის მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა 100 000 ლარს არ აღემატება, – არანაკლებ 300 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 800 ლარისა.

ამასთან აღსანიშნავია ,,შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-8 პუნქტი, რომლის თანახმად ,,აღმოჩენილი დარღვევის გამოსასწორებლად გაცემული მითითებით დადგენილ ვადაში დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში შრომის ინსპექციის სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებისა და გაცემული მითითების შესასრულებლად სამართალდამრღვევისთვის დამატებითი გონივრული ვადის მიცემის შესახებ.“ წინამდებარე კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი კი სახდელის სახედ მოიაზრებს - ჯარიმას.

მოცემულ შემთხვევაში, ორგანიზაციის მეორე განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში გამოვლენილ იქნა გაცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და მითითებით გათვალისწინებული დარღვევების ნაწილობრივი გამოუსწორებლობის ფაქტი.

შრომის ინსპექციის სამსახურის 2022 წლის 11 მაისის № 09/2026 (რეგ. N 81957/21; 11.05.2022წ.) წერილით მიმართვის საფუძველზე, 2022 წლის 17 მაისს სსიპ

შემოსავლების სამსახურის მიერ №21-11/43921 წერილით მოწოდებულ იქნა ინფორმაცია, რომ ააიპ „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის" მიერ წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა არ აღემატება [redacted] ლარს.

ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით, გამოთხოვილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შესწავლისა და შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი, ინფორმაციის/დოკუმენტაციის შრომით ნორმებთან ანალიზისა და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად, ადმინისტრაციული სახდელის სახედ თითოეულ დარღვევაზე განსაზღვრულ იქნა ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა 800 ლარი, შესაბამისად გამოუსწორებელ 2 (ორი) დარღვევაზე განისაზღვრა ჯარიმის საბოლოო ოდენობა კერძოდ, **1600 (ერთი ათას ექვსასი)** ლარის ოდენობით.

<u>მითითების გამოსასწორებელი ვადა შეადგენს 30 კალენდარულ დღეს.</u>

საქართველოს შრომის კანონმდებლობის დაცვის შემოწმების განმახორციელებელი შრომის ინსპექცია, გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი.

შემოწმების აქტში აღინიშნება ორგანიზაციის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:

ა) მითითება შესრულდა;

ბ) მითითება არ შესრულდა.

მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს შრომის კანონმდებლობის შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის უფლებამოსილი პირი იყენებს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს და აღნიშნავს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

ახსნა-განმარტება მითითებასთან დაკავშირებით:

სამართალდამრღვევი პირის მიერ მითითების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა:

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის უფლებამოსილი პირ(ები)ის ხელმოწერა:

[redacted]

სამართალდამრღვევის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერა: